აკომოდაციები სასწავლო პროცესის მისაწვდომობისთვის

რეკომენდაციები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის

პროფესიული უნარების
საგენტო
2022

სარჩევი

შესავალი	**2**
ვისთან გამოიყენება აკომოდაციები	**3**
რა არის აკომოდაცია და რით განსხვავდება ის მოდიფიკაციისგან	**4**
აკომოდაციების გამოყენება პროფესიული განათლების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე	**8**
აკომოდაციის ფორმები	**8**
წესები აკომოდაციის გამოყენების პროცესში	**10**
გასათვალისწინებელი ფაქტორები აკომოდაციის პროცესში	**11**
აკომოდაციების თანხვედრა სტუდენტის ფუნქციონირების თავისებურებებთან	**13**
აკომოდაციების თავსებადობა კონსტრუქტთან	**13**
გადაწყვეტილების მიღება კონსტრუქტში ცვლილებების განხორციელებაზე	**15**
პროცესი აკომოდაციის განხორციელებამდე	**16**
ზღვარი აკომოდაციასა და მოდიფიკაციას შორის	**16**
კონსტრუქტის გათვალისწინება აკომოდაციისას	**19**
გავრცელებული ადაპტაციები ფუნქციონირების თავისებურების მქონე პირთათვის	**21**
ადაპტაციები უსინათლო სტუდენტებისთვის	21
ადაპტაციები მცირემხედველი სტუდენტებისთვის	23
ადაპტაციები სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის	24
ადაპტაციები დასწავლის სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის	25
ადაპტაციები ფიზიკური დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის	26
წერითი ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის ზოგადი რეკომენდაციები	**27**
გამოყენებული ლიტერატურა	**32**

მოცემულ გზამკვლევში ასახულია სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ეფექტური და სამართლიანი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები - სასწავლო პროცესის აკომოდაციის შესაძლებლობები, რაც აუმჯობესებს განათლების მისაწვდომობას და სხვა სტუდენტებთან თანასწორ მდგომარეობაში აყენებს სტუდენტებს ფიზიკური, სენსორული დარღვევებით და/ან დასწავლის სირთულეებით, რომლებსაც აღენიშნებათ ცოდნის ათვისების და დემონსტრირების თავისებურებები.

შესავალი

სტუდენტებს, რომლებსაც უდასტურდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, უფლება ეძლევათ სასწავლო პროცესში ისარგებლონ დამატებითი მხარდაჭერით, რაც ზრდის მათ ეფექტურ და სხვებთან თანასწორ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მიღება და/ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არსებობა, წარმოადგენს წინაპირობას, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის განხორციელდეს სტანდარტულად განსაზღვრული სასწავლო პროცესის და პროგრამის ცვლილება და მის საჭიროებებზე მორგება.

სტანდარტულად განსაზღრულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ადაპტაციის სახელითაა ცნობილი. ადაპტაციების შემთხვევაში იცვლება სტუდენტისთვის სტანდარტულად განსაზღვრული სასწავლო გეგმა - მოდული. ადაპტაციები ორგვარია და გულისხმობს სასწავლო პროცესის აკომოდაციას და სასწავლო პროცესის მოდიფიკაციას. (სასწავლო პროგრამის ადაპტაციის შედეგად იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.)



სურ. 1 სასწავლო პროცესის ადაპტაციები

აკომოდაცია არის სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პროცესის ისეთი ცვლილება, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებითვის ზრდის განათლების მისაწვდომობას და სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, თავად მიზნის ცვლილების გარეშე. აკომოდაციის პირობებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი რჩება ორიენტირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე/სწავლის შედეგებზე, მათი შინაარსის, სირთულის დონის, რაოდენობის ცვლილების გარეშე.

მოდიფიკაციისას იცვლება სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგი, რომელიც ზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამ გზით ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების/სწავლის შედეგების განსაზღვრა. მოდიფიკაციის საჭიროება დგება იმ შემთხვევებში, როდესაც აკომოდაციები არ არის საკმარისი სტუდენტის აკადემიური და პროფესიული პროგრესისთვის.

აღნიშნული გზამკვლევი ეძღვნება აკომოდაციის სტრატეგიების და ფორმების განხილვას. ასევე, დამატებით გაანალიზდება ის ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მათი განხორციელება.

ვისთან გამოიყენება აკომოდაციები

აკომოდაციები უპირატესად გამოიყენება სტუდენტებთან, რომლებსაც ექმნებათ სპეციფიური საჭიროებები სწავლის პროცესში, რაც განპირობებულია:

- ⇒ სმენის დარღვევის სხვადასხვა ხარისხით (იგულისხმება როგორც სმენის დაქვეითების მქონე, ისე სმენის არ მქონე სტუდენტები),
- ⇒ მხედველობის დარღვევის სხვადასხვა ხარისხით (იგულისხმება როგორც მხედველობის დაქვეითების მქონე, ისე უსინათლო სტუდენტები),
- ⇒ სხვადასხვა ხარისხის ფიზიკური შეზღუდვით **ან**
- ⇒ დასწავლის სირთულეებით.

აღნიშნული დარღვევების შემთხვევაში, როგორც წესი, სტუდენტები არ საჭიროებენ სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგის ცვლილებას, მოდიფიცირებას; აკომოდაციების მხარდაჭერით, ისინი უმკლავდებიან სასწავლო პროგრამებში განსაზღვრულ სტანდარტულ მოთხოვნებს და წარმატებით ადასტურებენ მიღწეულ შედეგებს.

მოდიფიკაციები უპირატესად ხორციელდება იმ სტუდენტებთან, რომელთა სპეციფიური საჭიროებები სწავლის პროცესში განპირობებულია ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევით. ხშირად, აღნიშნული დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ინტეგრირებული აკომოდაციები არასაკმარისია მათი აკადემიური და პროფესიული პროგრესისთვის. ამ შემთხვევაში, საჭირო ხდება სწავლის შედეგების ცვლილება და მორგება სტუდენტის ძლიერი მხარეების და საჭიროებების მიხედვით.

რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები ინდივიდუალური სასწავლო მიზნების ფორმირებასთან ერთად საჭიროებენ ცოდნის მიწოდებისა და წარდგენის განსახვავებულ პირობებს, მოდიფიკაციებთან ერთად გამოიყენება აკომოდაციებიც.



სურ. 2 აკომოდაციები და მოდიფიკაციები

რა არის აკომოდაცია და რით განსხვავდება ის მოდიფიკაციისგან

აკომოდაცია არის სასწავლო მასალის წარდგენის და ცოდნის დემონსტრირების რეჟიმის ცვლილება, რომელიც არ იწვევს ასათვისებელი ცოდნის, უნარების ცვლილებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოდიფიკაცია გულისხმობს, სასწავლო მასალის იმგვარ ცვლილებას, რასაც მოყვება ასათვისებელი ცოდნის და უნარების ცვლილება (შემცირება, დავიწროება).

აკომოდაცია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა წვდომას სასწავლო პროცესზე. ამ გზით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეუფერხებელ ინტერაქციაში შევიდეს სასწავლო მასალასთან, შეძლოს მისი სრულყოფილად ათვისება და თავისი ცოდნის დემონსტრირება სხვებთან თანაბარ პირობებში. გარკვეული დარღვევების შემთხვევაში, აღნიშნული ტიპის ცვლილებები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სტუდენტმა დაძლიოს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგები, ეფექტურად შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა და დადასტურება.

განვიხილოთ აკომოდაციის მაგალითი:

N1. ცხრილში მოცემულია სტანდარტული დავალება, რითიც მასწავლებელი გადაამოწმებს, **განასხვავებს თუ არა სტუდენტი ზეინკალ-სანტექნიკოსის დამცავ საშუალებებს.**

ტესტის სტანდარტული დავალება

დაასახელე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს: **1.** **2.** **3.**

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აღენიშნება მეტყველების სპეციფიური დარღვევა, რის გამოც მას გაუჭირდება საგნების დასახელება, ან აღენიშნება სმენის დარღვევა, რა დროსაც ის ასევე ვერ შეძლებს ვერბალურად გააჟღეროს დავალებაში მოთხოვნილი ატრიბუტები, სტუდენტისთვის შესაძლებელია უზრუნველვყოთ დავალების აკომოდაცია, და ნაცვლად ზეპირმეტყველებისა, ვთხოვოთ საგნების წერილობით მოწოდება. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი სტუდენტს მისცემს შემდეგ ინსტრუქციას:

აკომოდაციის შესაძლებლობა N1:

ჩამოწერე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:

1.

2.

3.

თუ სტუდენტს აღენიშნება მართლწერასთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლებელია სხვა ტიპის აკომოდაციის შეთავაზება.

აკომოდაციის შესაძლებლობა N2:

მონიშნე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:

- ☐ წყლის სათვალე
- ☐ ჩაფხუტი
- ☐ საცურაო ქუდი
- ☐ სპეცტანსაცმელი
- ☐ საცურაო ჟილეტი
- ☐ დამცავი ნიღაბი
- ☐ დამცავი სათვალეები
- ☐ ხელთათმანები

თუ სტუდენტს აღენიშნება კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლებელია კიდევ უფრო განსხვავებული აკომოდაციის შეთავაზება.

აკომოდაციის შესაძლებლობა N3:

მონიშნე ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:

☐

☐

☐

☐

☐

☐

☐

☐

მოცემული მაგალითიდან ნათელია, რომ მასწავლებელი სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით **არჩევს გზებს,** იმისათვის რომ გადაამოწმოს, შეუძლია თუ არა სტუდენტს ზეინკალ-სანტექნიკოსის დამცავი საშუალებების იდეტიფიცირება, რაც მათი მართებულად გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა. ამავდროულად, მასწავლებელი, ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგიები, რაც გადაამოწმებინებს მას სამიზნე **საგნების იდენტიფიცირების უნარს** სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებთან.

აქვე ნათელია, რომ მოცემული ეტაპისთვის, მასწავლებლის მიზანს არ წარმოადგენს ცოდნის გადამოწმება, რაც საგნების სწორად **დასახელებას** უკავშირდება. როგორც ჩანს, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, სტუდენტმა შეძლოს მათი მართებულად **იდენტიფიცირება.** შესაბამისად, მასწავლებლის მიერ განსაზღვრული ცვლილებები - სრულიად რელევანტურია მოცემული მიზნისთვის და ეს ცვლილებები მიზანთან მიმართებაში აკომოდაციას წარმოადგენს.

თუმცა, მასწავლებლის საწყისი ამოცანა რომ ყოფილიყო, **სტუდენტმა დაასახელოს სამიზნე საგნები,** მასწავლებლის მიერ განხორციელებული N2 და N3 ცვლილება აკომოდაციად ვერ ჩაითვლებოდა. ეს მოდიფიცირების მაგალითი იქნებოდა, რადგან N2 და N3 დავალებებში, მასწავლებელი სტუდენტისგან მოითხოვს საგნების სწორ იდენტიფიცირებას, ამოცნობას და არა მათი აღმნიშვნელი სიტყვების დამოუკიდებელ (წერილობით ან ზეპირ) პროდუქციას.

მიზნის მოდიფიკაცია, მასწავლებელს შესაძლებელია დასჭირდეს სტუდენტთან, რომელსაც აღენიშნება ახალი სიტყვების დასწავლის და გამოყენების სირთულეები ინტელექტუალური სფეროს განვითარების თავისებურებების გამო.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მასწავლებელმა შესაძლებელია განიხილოს რამდენიმე შესაძლებლობა:

- სტუდენტისთვის შეუცვლელად დატოვოს სტანდარტული მიზანი - **სტუდენტმა დაასახელოს ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს,** და სცადოს მასთან აღნიშნული მიმართულებით მუშაობა.

  იმის, გათვალისწინებით, რომ სტუდენტს განსაკუთრებული სირთულეები აღენიშნება ახალი სიტყვების დასწავლის და გამოყენების თვალსაზრისით, მიზნის მიღწევის ალბათობა ნაკლები იქნება, ხოლო, შერჩეული გზა და მიზანი არარელევენტური.

- მასწავლებელმა უარი თქვას აღნიშნული მიზნის მიმართულებით მუშაობაზე.

  ამ შემთხევაში, სტუდენტი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გაეცნოს სამუშაო ობიექტზე გამოსაყენებელ დამცავ საშუალებებს, რაც ასევე გაუმართლებელია სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

- მასწავლებელმა შეინარჩუნოს მიზანი, თუმცა შეცვალოს ის - მიმართოს მიზნის მოდიფიკაციას და ნაცვლად იმისა, რომ სტუდენტმა დაასახელოს ის დამცავი საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს, მიზნად განსაზღვროს შემდეგი: **სტუდენტმა ამოიცნოს დამცავი საშუალებები.**

  ამ შემთხევაში, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, დაეუფლოს ახალ და მნიშვნელოვან ცოდნას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.

  სწორედ აღნიშნულ გზას უნდა მიმართოს მასწავლებელმა და ნაცვლად იმისა, რომ შეუცვლელად დატოვოს ან სრულიად უარი თქვას სტანდარტულად ფორმულირებულ მიზანზე, მან უნდა განახორციელოს მიზნის მოდიფიკაცია.

  მიზნის მოდიფიცირებას, ბუნებრივად მოყვება ცოდნის წარდგენის, დემონსტრირების გზის მოდიფიცირებაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს მოდიფიცირებულ მიზანს და დავალებას.

სტანდარტული მიზანი სტუდენტმა **დაასახელოს** ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს	**მოდიფიცირებული მიზანი** სტუდენტმა **ამოიცნოს** ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს
სტანდარტული დავალება **დაასახელე** ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:	**მოდიფიცირებული დავალება** **მონიშნე** ის დამცავი საშუალებები, რაც აუცილებელია, რომ ზეინკალ-სანტექნიკოსმა სამუშაო ობიექტზე გამოიყენოს:

1. **2.** **3.** **4.**	☐ ☐ ☐ ☐

აკომოდაციების გამოყენება პროფესიული განათლების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სასწავლო პროცესში საჭიროებს კონკრეტული აკომოდაციის გამოყენებას, რაც მისი ფუნქციონირების თავისებურებით არის განპირობებული, აკომოდაციები უნდა გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე - ახალი ინფორმაციის მიღების, ათვისების დემონსტრირების და შეფასების პროცესში.

აკომოდაციების შერჩევაზე და მისი გამოყენების სისტემატიურობაზე პასუხისმგებელი სტუდენტის მასწავლებელი და სპეც.მასწავლებელია. ისინი, უნდა არეგულირებდნენ, რომ საჭირო აკომოდაციების გამოყენება ხდებოდეს პროფესიული განათლების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე და რეგულარულად.

გაუმართლებელია, სტუდენტისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდება ხდებოდეს აკომოდაციების გამოყენებით, ხოლო ცოდნის შეფასებისას მას შესაბამისი აკომოდაციის გამოყენების უფლება არ ეძლეოდეს. მაგ. თუ სმენის დარღვევის ან დისლექსიის მქონე სტუდენტი, თეორიულ მასალას ეცნობა და ამუშავება მათთვის ადაპტირებული ტექსტების საფუძველზე, სადაც რთული თანწყობილი წინადადებები მარტივ წინადადებებად არის სახეცვლილი, აღნიშნული აკომოდაცია უნდა იყოს გამოყენებული შეფასებისა.

აკომოდაციის ფორმები

საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებული აკომოდაციები შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის რომელ კომპონენტს ეხება ესა თუ ის ცვლილება.

ძირითადად განიხილავენ ხუთი ტიპის აკომოდაციას: ინსტრუქციის აკომოდაციებს, მასალის წარდგენის ფორმის/რეჟიმის ცვლილებას, პასუხის ფორმის/რეჟიმის ცვლილებას, გარემო პირობების აკომოდაციას, დროისა და გრაფიკის აკომოდაციას.

⇒ **ინსტრუქციის აკომოდაცია:** ინსტრუქციის ფორმულირების სტანდარტული მეთოდებისა და საშუალებების ცვლილება, გამოსახულებების დამატება, ტექსტის პერეფრაზირება.

⇒ **მასალის წარდგენის ფორმის/რეჟიმის ცვლილება:**

მასალის მიწოდების და წარდგენის სტანდარტული მეთოდებისა და საშუალებების ცვლილება:

- ტექსტის შრიფტის და ვიზუალური გამოსახულებების ზომის და მასშტაბის გაზრდა,
- ტექსტის ბრაილის შრიფტზე წარდგენა,
- აუდიო მასალების გამოყენება (მათ შორის: აუდიო ჩანაწერის, ტექსტის წამკითხველი ან ეკრანის წამკითხველის[1], ტექსტის კომპიუტერულად გახმოვანება),
- ტაქტილური გამოსახულებების გამოყენება, (ტაქტილური გამოსახულებების მაშტაბის გაზრდა),
- აუდიო კომპონენტის წერითი სკრიპტის შემუშავება,
- აუდიტორული კომპონენტის ჟესტურ ენაზე თარგმნა,
- სხვ.

⇒ **პასუხის ფორმის/რეჟიმის ცვლილება:**

- ალტერნატიული და აუგმენტური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება - სტუდენტის პასუხების (წერითი, ან ზეპირი) პროგრამული გახმოვანება;
- კომპიუტერი გამოყენება ეკრანის წამკითხველი პროგრამით, რომელიც ახმოვანებს პირის წერით პასუხებს,
- ფურცელზე მუშაობა (ნაცვლად ელექტრონულ ფორმატში მუშაობისა) ან პირიქით, კომპიუტერთან მუშაობა, ნაცვლად ფურცელზე მუშაობისა,
- პასუხების დიდ შრიფტიანი ფურცლის გამოყენება,
- ვერბალური პასუხების ჩამწერის გამოყენება,
- დამხმარე პირის მოწვევა - ჟესტური ენის თარჯიმნის, ტექსტის წამკითხველი პირის, ასისტენტის.



სურ. 3 აკომოდაციები სხვადასხვა ეტაპზე

[1] ადამიანი, რომელიც კითხულობს ტექსტის ტრანსკრიპტს

⇒ **გარემო პირობების აკომოდაცია:** სასწავლებლის და აუდიტორიის, სახელოსნოს სივრცეში ავეჯის განლაგების, განათების, სტუდენტთა კლასში განთავსების ცვლილება; სწავლების ადგილისა და/ან ფორმის ცვლილება, სამუშაოს შესრულებისთვის (შეფასებისთვის) ცალკე ოთახის უზრუნველყოფა, პროცესის (შეფასების) ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში ადმინისტრირება, სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ ფორმატში წარმართვა, დამხმარე ადაპტაციური საშუალებების / სასწავლო რესურსების გამოყენება (მაგალითად, ადაპტირებული კლავიატურა, მაუსი და ა.შ.);

⇒ **დროისა და გრაფიკის აკომოდაცია:** სამუშაოსთვის განსაზღვრული დროის გახანგრძლივება, დამატებითი შესვენებების გამოყენება, დასვენებების დროის გაზრდა, დავალების დანაწევრება და დროში გადანაწილება, საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათების შემცირება / გაზრდა,

აღნიშნული აკომოდაციები ასახავს შესაძლო, მაგრამ არა ყველა ტიპის ცვლილებას, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია სასწავლო პროცესის და სივრცის მისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

წესები აკომოდაციის გამოყენების პროცესში

აკომოდაციების შერჩევისას და გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

⇒ აკომოდაციამ არ უნდა გამოიწვიოს სხვებთან შედარებით მოსწავლის უპირატესი მდგომარეობა, აკომოდაციამ უნდა შექმნას სხვებთან თანაბარი პირობები;

⇒ აკომოდაციები უნდა გამოიყენებოდეს სისტემატურად და სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე საჭიროებისამებრ; მათ შორის სტუდენტისთვის საორიენტაციო სერვისის მიწოდებისას;

⇒ აკომოდაციის გამოყენება უნდა იყოს არგუმენტირებული;

⇒ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს აკომოდაციის გამოყენების დრო, ადგილი, პასუხისმგებელი პირი;

⇒ აკომოდაციები თითოეული სფეროს/საგნისთვის ინდივიდუალურად უნდა ზუსტდებოდეს. დაუშვებელია ერთ სფეროში ეფექტურად მოქმედი აკომოდაციის ავტომატური გადატანა სხვა სფეროში;

⇒ ცვლილებებმა, რამაც შესაძლებელია გაზარდოს სასწავლო პროცესზე და მასალაზე მისაწვდომობა სტუდენტთა ერთი ჯგუფისთვის, არ უნდა შექმნას ბარიერები სხვა ჯგუფისთვის;

⇒ აკომოდაციის განხორციელებას უნდა მოჰყვეს დაკვირვება, თუ რამდენად უზრუნველყო განხორციელებულმა აკომოდაციამ სტუდენტის სასწავლო პროცესში თანამონაწილეობის გაზრდა;

⇒ აკომოდაციების გამოყენებას უნდა მოყვეს მისი პერიოდული გადაფასება. ერთხელ შერჩეული ეფექტური აკომოდაცია, შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ არაეფექტური აღმოჩნდეს;

⇒ მნიშვნელოვანია, აკომოდაციის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის თავად სტუდენტისგან მიღება.

ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთი აკომოდაცია განხორციელებული ამა თუ იმ დარღვევის მქონე სტუდენტისთვის, ხშირად სრულიად ვალიდურია სპეციალური საჭიროების არმქონე ჯგუფისთვისაც. მაგალითად, ყველასთვის სასარგებლოა, თუ პრეზენტაციაში ან ტექსტში ზედმიწევნით დამუშავებული და მოწესრიგებულია წერილობითი ინფორმაციის განლაგება, ფორმა, ტოპოგრაფია, მონაცემთა გრაფა ან ცხრილი; მოცემულია სასარგებლო მინიშნებები, სათაურები; აქცენტირებულია საკვანძო ელემენტები; ტექსტი და ვიზუალური გამოსახულება გაფილტრულია მეორეხარისხოვანი ინფორმაციისგან, გამოყენებულია ნუმერაცია და „ბულეტები“, ამ გზით ჩანაცვლებულია ვრცელი პარაგრაფი; დამატებითი ინქტრუქციებით გაიოლებულია ტექსტში ნავიგაცია და სხვ.

გასათვალისწინებელი ფაქტორები აკომოდაციის პროცესში

აკომოდაციების შერჩევა და გადაწყვეტილება მათი გამოყენების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს:



სურ. 4 აკომოდაციები უნდა ეფუძნებოდეს

(ა) სტუდენტის შესაძლებლობების და საჭიროებების შეფასებას სტუდენტის სასწავლო პროცესის წარმმართველი და მხარდამჭერი გუნდი ახორციელებს (მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი). აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელია სტუდენტის თავისებურებები, მისი უპირატესი ჩვევები, მასწავლებლის და მხარდამჭერი სპეციალისტის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, საკონსულტაციო გუნდი) რეკომენდაციები. ზოგადმა აკომოდაციამ, თუნდაც ის განსაზღვრული იყოს მსგავსი

საჭროების მქონე ჯგუფისთვის, კონკრეტულ პირთან შესაძლებელია არ იმუშავოს, შესაბამისად, აკომოდაციები თითოეული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად და ფრთხილად განისაზღვრება. ამ პროცესში გადამწყვეტია თავად სტუდენტის ჩართულობა, მისგან მიღებული უკუკავშირი და მისი წარსული და აწმყო გამოცდილების გაზიარება აკომოდაციების გამოყენების თაობაზე, რამ იმუშავა ეფექტურად, რა აღმოჩნდა არასასურველი და სხვ.

(ბ) აკომოდაციების მაქსიმალური სიზუსტისთვის და ეფექტურობისთვის, გადამწყვეტია, მასწავლებლებმაზედმიწევნით დაიცვას აკომოდაციის განსაზღვრის შემდეგი პროცედურები:

1. განსაზღვროს შესასწავლი კონსტრუქტი - სამიზნე ცოდნა და უნარები.
2. გააანალიზოს სამიზნე კონსტრუქტი და გამოავლინოს:
   - ⇒ კონსტრუქტის აუცილებელი/არსებითი კომპონენტები
   - ⇒ კონსტრუქტის დამხმარე კომპონენტები
   - ⇒ კონსტრუქტის შემთხვევითი/მეორეხარისხოვანი კომპონენტები.

კონსტრუქტის განსაზღვრაში და მის ანალიზში, უპირატესი როლი აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელს. სტუდენტისთვის კონსტრუქტის მისაწვდომობის და მისი აკომოდაციების შესაძლებლობების განხილვაში და იდეების გენერირებაში ჩართულია თვითონ სტუდენტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სასწავლო პროცესის ასისტენტი.

აღნიშნული სპეციალისტების ამოცანაა, კონსტრუქტის განსაზღვრის პარალელურად, შეაფასონ კონსტრუქტის მისაწვდომობის საკითხები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტისთვის, განიხილონ აკომოდაციების ის შესაძლებლობები, რომლებიც უპირატესად გამოიყენება მსგავსი საჭიროებების მქონე ჯგუფისთვის, შეაფასონ აღნიშნული აკომოდაციების რელევანტურობა კონკრეტული სტუდენტისთვის და აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვროს შემდგომი ცვლილების საჭიროება.

კონსტრუქტი არის ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, რომლის შემეცნება ან რომლის შეფასებაც იგეგმება.
თითოეულ კონსტრუქტს აქვს - არსებითი, დამხმარე და არაარსებითი კომპონენტები.

აკომოდაციების თანხვედრა სტუდენტის ფუნქციონირების თავისებურებებთან

განსაზღვრული აკომოდაციები შესაბამისი უნდა იყოს სტუდენტის ფუნქციონირების თავისებურებებთან და ამავდროულად გამოსაყენებლად მოსახერხებელი - კონკრეტული სტუდენტისთვის.

მაგ. უსინათლო სტუდენტებისთვის გავრცელებულ აკომოდაციას წარმოადგენს ბრაილის შრიფტის გამოყენება ნაცვლად ბრტყელი შრიფტისა, თუმცა თუ სტუდენტს მხედველობა ცოტა ხნის წინ აქვს დაკარგული, მას მოცემული ეტაპისთვის არასაკმარისად შეიძლება ჰქონდეს განვითარებული თითებით ტაქტილური კითხვის უნარი, შესაბამისად, მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკისა, ამ კონკრეტული სტუდენტისთვის უფრო რელევანტური და მოსახერხებელი იქნება, ბრაილის ნაცვლად აუდიო ჩანაწერების გამოყენება ახალი ინფორმაციის გაცნობის პროცესში.

აკომოდაციების თავსებადობა კონსტრუქტთან

გატარებულმა ცვლილებებმა, იმისათვის რომ ის აკომოდაციად ჩაითვალოს, არ უნდა შეცვალოს ცოდნის და უნარების მოცულობა, დიაპაზონი, სიმტკიცე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ცვლილება უნდა იყოს კონსტრუქტთან თავსებადი და არ უნდა გამოიწვიოს მისი „დაზიანება“.

კონსტრუქტის ზუსტად განსაზღვრა დაეხმარება გუნდს, გადაწყვიტოს არის თუ არა ცვლილება მასთან თავსებადი და მაშასადამე - აკომოდაცია. ამისათვის, აუცილებელია, თითოეულ კონსტრუქტში განისაზღვროს - აუცილებელი/არსებითი, დამხმარე და არაარსებითი კომპონენტები.

არსებითი/აუცილებელი კომპონენტები

კონსტრუქტის არსებითი კომპონენტი არის დასასწავლი ან შესაფასებელი მასალის საკვანძო ელემენტი. შესაბამისად, მისი გამოტოვება დაუშვებელია. მაგ. თუ მიზანია შევაფასოთ მონაცემთა დიაგრამის ინტერპრეტაციის უნარი, მონაცემთა დიაგრამა, როგორც სასტიმულო მასალა, აუცილებლად უნდა იყოს სტუდენტის წინაშე წარდგენილი. მონაცემთა დიაგრამა არის შესასწავლი და შესაფასებელი მასალის არსებითი ელემენტი, რადგან შეუძლებელია, მონაცემთა დიაგრამების ინტერპრეტაციის სწავლება და შემდეგ ამ უნარის შეფასება იმგვარი სასწავლო მასალით, სადაც აღნიშნული საკვანძო კომპონენტი არ ფიგურირებს.

არსებითი ელემენტის გამოტოვება შეუძლებელს გახდის დასწავლის და შეფასების პროცესს; შესაძლებელია მხოლოდ მისი ცვლილება, მასთან დაკავშირებით აკომოდაციების განხორციელება - მაგ. მისი მიწოდების რეჟიმის ცვლილება.

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლებისას, მხარდამჭერი გუნდის უმთავრეს ამოცანად იქცევა, ფიქრი და გადაწყვეტა იმისა, როგორ უნდა მოხდეს სტუდენტისთვის დიაგრამის მოწოდება, თუკი ვიზუალურად, ბრტყელ რეჟიმში მიწოდებული დიაგრამა მისთვის არ არის მისაწვდომი.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია ტაქტილური ხაზის გადატარება მონაცემთა გრაფის კონტურზე, იმისათვის, რომ გრაფა და მისი მახასიათებლები აღქმადი გახდეს უსინათლო პირისთვის. (ტაქტილური ხაზი შესაძლებელია შეიქმნას ფუნჯით კონტურზე თხევადი წებოს გადასმით) ან პლასტელინის გამოყენებით და ა.შ..

დამხმარე კომპონენტები

კონსტრუქტის დამხმარე კომპონენეტები აუმჯობესებს სამიზნე, არსებითი მასალის შესწავლის/შემეცნების და შეფასების პროცესს. თუმცა, ის უმთავრეს კომპონენტს არ წარმოადგენს, რადგან მის გარეშეც შესაძლებელია საკვანძო ცოდნის მიღება და მოცემული ცოდნის შეფასება.

მაგ. ვიზუალური ბარათის სტიმულად გამოყენება იმისათვის, რომ უცხო ენის გაკვეთილზე გააქტიურდეს სტუდენტთა ინგლისურ ენაზე საუბარი, წარმოადგეს კონსტრუქტის დამხმარე კომპონენტს და ის ფართედ გავრცელებულია. თუმცა, საუბრის წახალისება შესაძლებელია აღნიშნული მასალის გამოყენების გარეშეც, მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, ვიზუალური ბარათები კონსტრუქტის დამხმარე კომპონენტია. დამხმარე კომპონენტის გამოტოვება თეორიულად შესაძლებელია. მაგ. თუ საქმე გვაქვს უსინათლო სტუდენტთან, რომლისთვისაც ვიზუალური გამოსახულება მიუწვდომელია, შესაძლებელია ვიმსჯელოთ მისი გამოყენება-გამოტოვების საკითხზე. თუმცა გადაწყვეტილების მისაღებად უნდა გაანალიზდეს, რამდენად ეფექტურს, ინფორმატიულს, საინტერესოს და სრულს ხდის დამატებითი კომპონენტის (ამ შემთხვევაში, ვიზუალური მასალის) გამოყენება კონსტრუქტს. თუ ეს ასეა, საწავლო პროცესში მისი გამოტოვება არარეკომენდებული იქნებოდა, რადგან გამოტოვება არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს სხვა სტუდენტებთან მიმართებაში. მაშასადამე, თუ კონსტრუქტის აღნიშნული კომპონენტი ადაპტირებადია მიზანშეწონილია, გუნდმა შეინარჩუნოს ის და იმსჯელოს მისი აკომოდაციის შესაძლო გზებზე. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, სურათები ვიზუალური გამოსახულებით, ჩანაცვლდეს ტაქტილური გამოსახულების მქონე სურათებით.

შემთხვევითი/მეორეხარისხოვანი კომპონენტები

შემთხვევითი ასპექტები არის კონსტრუქტის ის ელემენტები, რომელთა გამოტოვება შესაძლებელია, რადგან ეს არ დააზიანებს შესასწავლ მასალას და შეფასების პროცესს. მაგ. თუ მონაცემთა დიაგრამების არსებობა აუცილებელი პირობაა, დიაგრამების კონტურის განსხვავებული ფერებით მონიშვნა მეორეხარისხოვანი ასპექტია, შესაბამისად მათი გამოტოვება შესაძლებელი იქნება.

ანალოგიურად, თუ ტოპოგრაფიული რუქკა დატვირთულია მინიშნებებით, ხოლო მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტისთვის საჭიროდ განისაზღვრა რუკის ზომის გაზრდა უკეთესი ვიზუალური აღქმისთვის, გაზრდილმა სათაურებმა შესაძლებელია ერთმანეთი გადაფარონ და მაშ ასადამე, აღქმა კი არ გაიოლონ, არამედ გაართულონ. ამ შემთხვევაში, თამამად შეიძლება

რუქკაზე იმ მეორეხარისხოვანი მინიშნებების წაშლა, რომლებსაც მოცემულ ეტაპზე პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

გადაწყვეტილების მიღება კონსტრუქტში ცვლილებების განხორციელებაზე

კონსტრუქტში ცვლილებების განხორციელებამდე, რომლებიც ეხება დამხმარე და/ან მეორეხარისხოვან კომპონენტებს პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად უნდა იმსჯელოს:

- ⇒ რამდენად დიდია დამხმარე კომპონენტების სარგებელი?
- ⇒ რამდენად შესაძლებელია აკომოდაციების განხორციელება, თუ აღნიშნულ ფორმატში მოცემული დამხმარე კომპონენტი მიუწვდომელია?
- ⇒ რამდენად არსებობს მისაწვდომობის სხვა შესაძლებლობები, რომლის გამოყენებითაც მივიღებთ იგივე სარგებელს?
- ⇒ რამდენად დიდ ბარიერს წარმოადგენს დამხმარე კომპონენტი სტუდენტისთვის? (რაც უფრო პრობლემურია დამხმარე კომპონენტი, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ მისი გამოტოვება უნდა მოხდეს)
- ⇒ დასასწსავლი და შესაფასებელი მასალის რა მოცულობა ხდება მიუწვდომელი დამხმარე კომპონენტის გამოყენებით? (თუკი მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი, მისი შენარჩუნება შესაძლებელია მოხდეს)
- ⇒ შესაძლებელია, თუ არა დამხმარე კომპონენტის ანალოგის გამოყენება კონსტრუქტის დაზიანების გარეშე?

იმ შემთხვევაში, თუ აკომოდაციები ხორციელდება შეფასების მიზნით, ხოლო ტესტში, რომელიმე საკითხი აკომოდაციას არ ემორჩილება, მიზანშეწონილია, მასწავლებელმა გაიაროს კონსულტაცია კოლეგებთან, იმისათვის, რომ განისაზღვროს, ხომ არ კარგავს ტესტის ჯამური ქულა ვალიდურობას, თუ საჭირო გახდა არაადაპტირებადი ტესტური დავალების გამოტოვება ან მოხდება მისი ჩანაცვება უფრო მარტივად ადაპტირებადი ტესტური დავალებით. ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ჰქონდეს სათადარიგო ტესტური დავალებები, იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ტესტური დავალება არაადაპტირებედად შეფასდება.

ხშირად მასალის აკომოდაცია გულისხმობს, მასალის დამუშავებაზე პასუხისმგებელი გუნდისგან დამატებითი მასალის ფორმირებას არსებულის სანაცვლოდ. მაგ. უსინათლო სტუდენტისთვის, მასალის ვიზუალური გამოსახულების აღქმის და შემეცნების მიზნით, აუცილებელია გამოსახულების შესაბამისი ტრანსკრიპტის შექმნა, მისი ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა/მიწოდება და/ან აუდიო ჩანაწერის სახით უზრუნველყოფა, ასევე ტაქტილური გამოსახულების ფორმირება[2] (ხოლო ვიზუალური გამოსახულების წაშლა).

[2] დღეისათვის საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაბლაბებში შესაძლებელია ტაქტილური გრაფიკების მომზადება 3დ ფორმატში.

პროცესი აკომოდაციის განხორციელებამდე

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს იმ პროცესს, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი აკომოდაციის პროცესში. როგორც აღინიშნა, პროცესი იწყება სტუდენტის შესაძლებელობების შეფასებით, მას მოყვება კონსტრუქტის ფორმირება, მისი ანალიზი (არსებილითი, დამხმარე და მეორეხარისხოვანი კომპონენტების იდენტიფიცირება), გადაწყვეტილების მიღება კომპონენტების შენარჩუნებაზე, აკომოდაციის სტრატეგიების, ფორმის შერჩევა და განხორციელება.

სურ. 5 პროცესი აკომოდაციების განხორციელებამდე

ზღვარი აკომოდაციასა და მოდიფიკაციას შორის

აკომოდაციის განხორციელებამდე, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერმა გუნდმა ყურადღებით გააანალიზონ დაგეგმილი ცვლილებები და სწორად განსაზღვრონ, აღნიშნული ცვლილებებით, ხომ არ იცვლება კონსტრუქტი და შესაბამისად, გატარებული ცვლილებები მოდიფიკაციას ხომ არ წარმოადგენს.

ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას, მასწავლებელს სიფრთხილე მართებს, რადგან ერთი შემთხვევისთვის განხორციელებული ცვლილება, რომელიც აკომოდაციას წარმოადგენს, სხვა შემთხვევისთვის შესაძლებელია მოდიფიკაციად ჩაითვალოს.

განვიხილოთ მაგალითები:

ერთ ერთ გავრცელებულ აკომოდაციას წარმოადგენს **შეფასების პროცესში სტუდენტისთვის სამუშაოდ განსაზღვრული დროის გახანგრძლივება და შესვენების შესაძლებლობის მიცემა.**

ქვემოთ მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ სტუდენტისთვის აღნიშნული პირობის შეთავაზება, ერთ შემთხვევაში აკომოდაციაა, ხოლო მეორე შემთხვევაში მოდიფიკაციას წარმოადგენს.

მოდიფიკაცია გულისხმობს, სასწავლო მასალის იმგვარ ცვლილებას, რაც იწვევს თავად ასათვისებელი ცოდნის და უნარების მოდიფიცირებას.

შემთხვევა N1: მასწავლებლის მიზანია შეაფასოს სტუდენტის ცოდნა სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფის შესახებ.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა შესაძლებელია შეფასების მიმართულებად და ინსტრუმენტად, წერითი გამოკითხვა და სტუდენტთა ტესტირება განსაზღვროს. სამუშაოდ კი სტუდენტებს ერთი საათი მისცეს, რამდენადაც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დარწმუნებით იცის, რომ შემუშავებული ტესტი ერთ საათიან მუშაობას მოითხოვს.

აღნიშნული ტესტის შესასრულებლად მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტს შესაძლებელია 2 საათი და ერთი შესვენების უფლება მისცეს, მისი განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით (მაგ. დისლექსია, (სტუდენტს სჭირდება მეტი დრო კითხვისთვის) ან ხელის ფუნქციის შეზღუდვა (სტუდენტს სჭირდება მეტი დრო და დასვენება წერითი დავალების შესასრულებლად) ან მხედველობის შეზღუდვა (რა დროსაც სტუდენტს სჭირდება მეტი დრო ბრაილით წერა - კითხვისთვის).

განხორციელებული ცვლილებების პირობებში - გახანგრძლივებული დრო, არ შეცვლილა შესაფასებელი კონსტრუქტი - სტუდენტს ევალება იმავე ცოდნის დემონსტრირება რაც მის თანაჯგუფელებს. მაშასადამე მოცემულ შემთხვევაში, საქმე აკომოდაციასთან გაქვს და აღნიშნული ცვლილებები მოდიფიკაციად ვერ ჩაითვლება.

შემთხვევა N2: მასწავლებლის მიზანია, შეაფასოს სტუდენტთა შესაძლებლობა არსებული ინგრედიენტების გამოყენებით მოამზადონ სამი სახეობის კერძი მინიმალურ დროში (1 საათი).

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელი მეტი ვარაუდით, სტუდენტებს დაავალებს პრაქტიკული დავალების შესრულებას და მოსთხოვს კერძების დამზადებას, რა დროსაც ის მკაცრად გააკონტროლებს სამუშაოდ განსაზღვრულ დროს და სტუდენტებს დავალების დასრულებას ერთ საათში მოსთხოვს.

იმ, შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტს სამუშაოდ, მისი საჭიროების გათვალისწინებით (ხელის ფუნქციის შეზღუდვა) ორ საათს და დასვენების შესაძლებლობას მისცემს, შეიცვლება შეფასების არსებითი კონსტრუქტი.

მოდულის სტანდარტული ჩანაწერის თანახმად, შესრულების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სამუშაოს სწრაფად და კონკრეტულ დროში, შესვენების გარეშე შესრულება (რამდენადაც აღნიშნული უნარი მნიშვნელოვანი / აუცილებელია ხალხმრავალ კვების ობიექტებში დასაქმებისას) და რამდენადაც, სწორედ ეს მოთხოვნა იცვლება, ცვლილება არა აკომოდაციად, არამედ მოდიფიკაციად ჩაითვლება.

განვიხილოთ აკომოდაციის ფართედ გავრცელებული სხვა შემთხვევაც: **წერითი დავალების ნაცვლად სტუდენტისთვის აუდო ჩანაწერის შექმნის უფლების მიცემა ან მასთან ზეპირი გამოკითხვის განხორციელება**

შემთხევა N1: მასწავლებლის მიზანია, შეაფასოს უცხო ენაზე წერითი უნარ-ჩვევები, საინფორმაციო წერილობითი ბარათის შექმნის საფუძველზე.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა სტუდენტებს შესაძლებელია დაავალოს ინგლისურენოვანი მენიუს შექმნა და ნაწერის სახით წარმოდგენა.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტს მისი საჭიროების გათვალისწინებით (აუტისტური სპექტრით განპირობებული თავისებურებების ფონზე სტუდენტს შეუძლია უცხო ენაზე საუბარი, თუმცა განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდება ამავე ენაზე წერა-კითხვის დასწავლისას), განსხვავებულ დავალებას მისცემს, მაგალითად, სთხოვს, ინგლისურენოვანი აუდიო ჩანაწერის განხორციელებას, სადაც სტუდენტს დაევალება აღწეროს მის მიერ შემუშავებული მენიუ და ჩამოთვალოს შერჩეული კერძები, საქმე მოდიფიკაციასთან გვექნება.

მასწავლებლის მიერ სტუდენტისთვის განსაზღვრულმა ცვლილებამ შეცვალა კონსტრუქტის არსებითი კომპონენტი - წერითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება, რის გამოც ცვლილება აკომოდაციას არ წარმოადგენს.

შემთხვევა N2: მასწავლებლის ამოცანაა შეაფასოს სტუდენტების ცოდნა ფუტკრის ცხოვრების წესის შესახებ.

სტანდარტულ პირობებში, მასწავლებელმა შესაძლებელია სტუდენტთა ჯგუფის შეფასება ტესტის საფუძველზე გადაწყვიტოს. სტუდენტებს მოუწევთ ღია შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა და ამ გზით გამოვლენა, რა ცოდნა და წარმოდგენები აქვთ ფუტკრის ცხოვრების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის საჭიროებებს (მოტორული სირთულეები წერის დროს ფიზიკური დარღვევის გამო, ან კითხვის სირთულეები დისლექსიის გამო) და მის ცოდნას ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე შეაფასებს, საქმე აკომოდაციასთან გვექნება, რადგან მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელი არსებითი კომპონენტი არ შეცვლილა. შეიცვალა არაარსებითი კომპონენტი, რის გამოც ცვლილება აკომოდაციას წარმოადგენს.

კონსტრუქტის გათვალისწინება აკომოდაციისას

აკომოდაციის დამატებითი მაგალითები

მაგალითი N1

სამიზნე კონსტრუქტი: სტუდენტმა შეძლოს ინგლისურ ენაზე წერილობით მოცემული ტექსტის დეკოდირება, შინაარსის გაგება და გადმოცემა.

აკომოდაციას საჭიროებს მხედველობის დარღვევის მქონე (უსინათლო) სტუდენტი, რომელსაც წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისთვის, სჭირდება ტექსტის ბრაილის შრიფტით მიწოდება.

მსჯელობა:

პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს, რა არის მოცემული კონსტრუქტის სავალდებულო კომპონენტი. მეტი ვარაუდით, მოცემულ კონსტრუქტში არა **ბრტყელი შრიფტი, არამედ დეკოდირებაა** სავალდებულო კომპონენტი. შესაბასიად, ბრტყელი შრიფტის სხვა რეჟიმით ჩანაცვლება კონსტრუქტს არ „დაარღვევს“ და ეს ცვლილება აკომოდაციად ჩაითვლება. ბრტყელი შრიფტი ამ შემთხვევაში მხოლოდ დამხმარე კომპონენტი იქნება და ის წარმატებით ჩანაცვლდება ბრაილის შრიფტით უსინათლო სტუდენტებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ტექსტის წერილობით მოცემულობაც არა არსებითი კომპონენტია, შესაძლებელი იქნება მისი აუდიო ფორმატით ჩანაცვლება და ინგლისურ ენაზე მიწოდებული ტექსტის გაგების უნარის ამ გზით შეფასება.

მაგალითი N2

სამიზნე კონსტრუქტი: სხვის მიერ წაკითხული ტექსტის გაგება; ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ზეპირი მეტყველების გაგება (ტელეფონით საუბარი, კლასში საუბარი და ა.შ.)

აკომოდაციას საჭიროებს სმენის დარღვევის მქონე (ყრუ) სტუდენტი, რომელიც ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის აღსაქმელად სჭირდება მისი ჟესტურ ენაზე მიწოდება და/ან წერილობითი რეპრეზენტაცია.

მსჯელობა:

თეორიულად, შესაძლო აკომოდაციებია: (ა) აუდიო ჩანაწერის გამოყენება, და მისი რამდენჯერმე მოსმენა; (ბ) ტექსტის ტრანსკრიპტის ფორმირება და მისი აუდიო ჩანაწერთან ერთად მიწოდება.

აკომოდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მნიშვნელოვანია გუნდმა იმსჯელოს, რა არის საკვანძო კომპონენტი ამ კონსტრუქტში და რომელიმე ცვლილებით ხომ არ „დაზიანდება“ ის.

მაგ. თუკი სამიზნე კომპონენტია - სტუდენტმა შეძლოს უცხო ენაზე ***წარმოთქმული*** ტექსტის გაგება - სტუდენტისთვის წერილობითი ტრანქსკრიპტების მიწოდება შეუსაბამო იქნება; ხოლო, თუ მიზანია, სტუდენტმა შეძლოს უცხო ენაზე ***მოცემული*** ტექსტის გაგება (და არ არის პრინციპულად მნიშვნელოვანი ტექსტი წერილობითი იქნება, თუ აუდიო) სმენის დარღვევის მქონე სტუდენტისთვის შესაძლებელია აუდიო სტიმულების შესაბამისი ტრანსკრიპტების მიწოდება.

ტექსტთან ერთად მისი შესაბამისი ვიზუალური გამოსახულების მიწოდება აკომოდაციად ვერ ჩაითვლება, ეს ცალსახად მოდიფიკაცია იქნება; რადგან, ამ შემთხვევაში ტექსტის შინაარსის გააზრება მოხდება არა მხოლოდ უცხო ენაზე მოცემული ვერბალური ან აუდიური სტიმულების საფუძველზე, არამედ ვიზუალურ სტიმულებზე დაყრდნობით.

მაგალითი N3

სამიზნე კონსტრუქტი: სტუდენტმა შეძლოს უცხო ენაზე გაწაფულად კითხვა

აკომოდაციას საჭიროებს დისლექსიის მქონე სტუდენტი, რომელსაც წერილობითი ინფორმაციის დეკოდირებისთვის და შინაარსის წვდომისთვის სჭირდება დროის გახანგრძლივება.

მსჯელობა:

ცვლილებები, რომელიც აღნიშნულ კონსტრუქტთან მიმართებაში განხორციელდება, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ განიმარტება ის.

თუ, გაწაფულად კითხვის ერთ-ერთ ინდიკატორად სწრაფად და მოკლე დროში კითხვა ითვლება, ცვლილება, რაც გულისხმობს სტუდენტისთვის კითხვის დროის გახანგრძლივებას, აკომოდაციად ვერ ჩაითვლება. იმ შემთხვევაში, თუ გაწაფულად კითხვა გულისხმობს ამოკითხვის სიზუსტეს და მკაფიოობას, მაშინ დროის დამატება კონსტრუქტთან წინააღმდეგობაში არ მოდის და მისაღები იქნება.

გავრცელებული ადაპტაციები ფუნქციონირების თავისებურების მქონე პირთათვის

ადაპტაციები უსინათლო სტუდენტებისთვის

მასალის წარდგენა ბრაილის შრიფტით

ბრაილი, არის ყველაზე გავრცელებული და მოსახერხებელი ფორმატი ინფორმაციის აღქმისთვის უსინათლო პირებთან. თუმცა, ინფორმაციის ბრაილის შრიფტით დაბეჭდვისას, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რამდენად შესაძლებელია მასალაში მოცემული ყველა სიმბოლოს ბრაილზე კონვენტირება, ტექსტის პირველად ვერსიაში ხომ არ არის გამოყენებული ისეთი სიმბოლოები, რომელთა ანალოგი ბრაილზე არ არსებობს. მაგ. სპეციალური სიმბოლოები.

ტექსტის ბრაილის შრიფტითზე კონვერტირებისას, მისი ტოპოგრაფიის აბსოლუტური სიზუსტით გამეორება საჭირო არ არის, თუ ტექსტის განთავსება კონსტრუქტთან კავშირში არ არის და შემთხვევითია. მაგ. ორ სვეტად მოცემული ტექსტი, ბრაილის შრიფტით მოწოდებული ტექსტი მიზანშეწონილია გაერთიანდეს. ან დაიყოს აბზაცებად, სვეტების ნაცვლად და დაინომროს I, II.

ტაქტილური გამოსახულებების დამატება

ტაქტილური გამოსახულებები მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის აუცილებელ აკომოდაციას წარმოდააგენს, რის საფუძველზეც უსინათლო პირისთვის მისაწვდომი ხდება მასალაში მოცემული ვიზუალური გამოსახულებები. ტაქტილური გამოსახულება იქმნება, ამოწეული კონტურით, მექანიკურად ან 3დ პრინტერის გამოყენებით.

პარაგრაფის შუაში განთავსებული ვიზუალური გამოსახულების ტაქტილური ანალოგის ბრაილით/ ბრაილის შრიფტით მოცემულ ტექსტში ტოპოგრაფიური სიზუსტით ჩასმა მიზანშეწონილი არ არის. უკეთესია ტაქტილური გამოსახულება ტექსტისგან იზოლირებულად განთავსდეს, ტექსტში კი მინიშნების გაკეთება, თუ რომელ ტაქტილურ გამოსახულებას უკავშირდება მოცემული აბზაცი.

ზოგიერთ მკითხველს, შესაძლებელია დასჭირდეს ტაქტილური გამოსახულების ზომის გაზრდა.

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტს ახლავს გამოსახულება, რომელიც მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს, შესაძლებელია მისი გამოტოვება. თუ ვიზუალური გამოსახულება ავსებს არსებულ ინფორმაციას, მაგ. ასახავს მოქმედების ადგილს, მის სანაცვლოდ უსინათლო სტუდენტისთვის შესაძლებელია გაჩნდეს წარწერა ბრაილით; მაგ. მოქმედება ხდება საკლასო ოთახში.

ტრანსკრიპტების დამატება

ზოგიერთი ტაქტილური გამოსახულება (გრაფიკა, დიაგრამა, ცხრილი) იოლად აღქმადია მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის, მაგრამ ზედმეტად კერძო ჩანახატის, ფოტოს ტაქტილურ ფორმატში აღქმა სტუდენტს შესაძლებელია გაუჭირდეს. შესაბამისად, ამგვარ ტაქტილურ გამოსახულებებს ზოგიერთ შემთხვევაში სჭირდებათ ტექსტური განმარტებებიც (ტრანსკრიპტი), რაც შეავსებს წარმოდგენილ ინფორმაციას.

ტრანსკრიპტის შემუშავებისას, პირველ რიგში იქმნება გამოსახულების ზოგადი აღწერა და შემდეგ დამატებითი დეტალები. ტრანსკრიპტი თანმიმდევრულად განუმარტავს სტუდენტს გამოსახულებას, ისე რომ არ გადატვირთავს მას ზედმეტი ინფორმაციით.

თავად სტუდენტზე იქნება დამოკიდებული, ის ინფორმაციის აღქმისთვის ისარგებლებს მხოლოდ ტაქტილური გამოსახულებით, თუ მისი აღმწერითაც. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭირო იქნება ბრაილზე წარწერა, რომ ინფორმაციის სრულყოფილად აღქმისთვის, სტუდენტმა უნდა ისარგებლოს როგორც ტაქტილური გამოსახულებით, ისე ტრანსკრიპტით.

რამდენადაც ინდივიდები განსხვავდებიან ტაქტილური გამოსახულებების ამოცნობის/კითხვის დონით, ვერბალური აღწერა გადამწყვეტია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია რომ აღწერა იყოს ზუსტი, მაგრამ ითვალისწინებდეს მკითხველის კითხვის უნარს და არ აზიანებდეს კონსტრუქტს.

აუდიო მასალის შემუშავება

ყველა უსინათლო პირს არ შეუძლია გაწაფულად კითხვა ბრაილზე. განსაკუთრებით, ის პირები, რომლებმაც გვიან ასაკში დაკარგეს მხედველობა ან აქვთ თანმხლები ფიზიკური დარღვევა, რაც აფერხებს ხელის მოძრაობით ტაქტილური ინფორმაციის აღქმას, შესაძლებელია ინფორმაციის აღქმისთვის უპირატესობას აუდიო ჩანაწერებს ანიჭებდნენ. (ინფორმაციის აუდიო ფორმატში მიწოდება ხელსაყრელია ასევე დასწავლის სირთულეების მქონე პირებისთვის.)

მასალის აუდიო სახით ფორმირება სხვადასხვა რეჟიმში არის შესაძლებელი. მაგ. წინასწარ ჩაწერილი ტექსტის სახით, წამკითხველის ჩართულობით ან კომპიუტერულად გახმოვანებული ტექსტის სახით (მათ შორის ეკრანის წამკითხველი - JAWS®).

აუდიო ჩანაწერის მომზადებამდე ტექსტები საჭიროებენ მარკირებას. მარკირებამ უნდა დააზუსტოს რთული სიტყვების წარმოთქმა, მიანიშნოს რომელი სიტყვა საჭიროებს აქცენტირებულ წარმოთქმას, რომელი წინადადებაა ხაზგასმული ტექსტში და ა.შ. დეტალურ წინასწარ შემუშავებულ ტრანსკრიპტს საჭიროებს ვიზუალური ან ტაქტილური გამოსახულების, მათემატიკური მაგალითის, ფორმულის აუდიო ვერსიის მომზადება.

აუცილებლობის გარდა, მიზანშეწონილია იმ გამოგონილი და არასტანდარტული სიმბოლოების გამოტოვება, რომლებსაც არ აქვთ სახელი (და არ აქვთ ანალოგი ბრაილის შრიფტით), და მათი გარდაქმნა აუდიო შინაარსად რთული იქნება.

ასევე საჭიროა დეტალური ინსტრუქციების წინასწარ შემუშავება იმ პირისთვის, რომელიც ცოცხლად წაუკითხავს უსინათლო სტუდენტს განსაზღვრულ მასალას. მკითხველს წინასწარ უნდა ჰქონდეს დამუშავებული აღნიშნული მასალა და უნდა მიყვებოდეს შემუშავებულ სცენარს. არ არის რეკომენდებული, ტექსტის მკითხველმა, ვიზუალური გამოსახულებების თავისებური და სპონტანური აღწერა წამოიწყოს. ამან, შესაძლებელია მიწოდებული ინფორმაცია არათანმიმდევრული, არასაკმარისი ან შეუსაბამო გახადოს.

იმ შემთხვევაში, თუ გადასაცემი ინფორმაცია შედგება მხოლოდ ტექსტისგან, რომელიც არ შეიცავს გამოსახულებებს, რთულ სიტყვებს, სიმბოლოებს, არის ძალიან მკაფიო და ნათელი, დამატებითი ტრანსკრიპტის ფორმირება შესაძლებელია საჭირო არ იყოს.

მასალის აუდიო ვერსიის მომზადებისას, სპეციალისტთა გუნდმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოება - აუდიო ჩანაწერის მოსმენა საჭიროებს სტუდენტისგან ყურადღების

მნიშვნელოვან კონცენტრაციას და მიღებული ინფორმაციის მეხსიერებაში შენახვას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მასალის განმეორებით მოსმენის ან მოსმენის პროცესის მართვის შესაძლებლობა შეზღუდულია. ბრაილის შრიფტით მოცემული მასალა, კი მისაწვდომი რჩება სტუდენტისთვის და მას აქვს შესაძლებლობა მიუბრუნდეს მას.

თუ, უსინათლო სტუდენტის ტესტირებისას, მის მეხსიერებაზე დატვირთვა იმაზე მეტია, ვიდრე იმ სტუდენტებისთვის, რომელებიც სტანდარტული ფორმატით ასრულებენ ტესტს, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები: აუდიო ჩანაწერი და ტექნოლოგია, რითიც ხდება აუდიო მოსმენა, უნდა იძლეოდეს ნავიგაციის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ ტექსტს მკითხველი კითხულობს, მას უნდა ჰქონდეს მიღებული დამატებითი ინსტრუქციები იმისათვის, რომ დაეხმაროს სტუდენტს მასალაში ნავიგაციისას.

ადაპტაციები მცირემხედველი სტუდენტებისთვის

აღნიშნული აკომოდაცია გამოიყენება არა მხოლოდ მცირემხედველ სტუდენტებთან, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში დასწავლის სირთულეების მქონე და ფიზიკური დარღვევის მქონე პირებთანაც.

შრიფტის და გამოსახულებების ზომის გაზრდა შესაძლებელია გამოიყენებოდეს აუდიო ჩანაწერებთან ერთადაც. მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ერთმანეთისგან, დიდი ზომის და გაზრდილი ზომის გამოსახულებები.

გაზრდილი ზომის გამოსახულებად ითვლება, 14 ფონტის ზომის მქონე გამოსახულებები, რომლებიც ზომაში იზრდება ფოტოგადიდების პრინციპით. ამ შემთხვევაში, ფურცელზე მოცემული გამოსახულებები არ საჭიროებენ სიბრტყეზე ახლებულ გადალაგებას.

დიდი ზომისაა გამოსახულება, თუ ფონტის ზომა არის 18 და მეტი. გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მეტად იზრდება ფონტის ზომა, მით მეტი გადაწყობა დასჭირდება მასალას. ამავდროულად, რეკომენდებულია, მასალა არ გაიზარდოს ფონტის 20 ზომაზე მეტად. იმ შემთვევაში, თუ სტუდენტს სჭირდება მასალის მიწოდება 20 ზომაზე დიდი შრიფტით, რეკომენდებულია ვიდეო გამადიდებლის გამოყენება,

წინადადებები, რომლებიც ჩვეულებრივ ტექსტში შედარებით მცირე ზომით გვხვდება, მაგ. (სქოლიო) აკომოდაციის პირობებში ასევე იზრდება, თუმცა ძირითად ტექსტთან მიმართებაში ზომაში განსხვავება უნდა ნარჩუნდებოდეს (მაგ. ძირითადი ტექსტი - 20, ფუტნოტი 18.)

მასალის ვიზუალური მხარის მოწესრიგება

ტექსტურ მასალასთან გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ⇒ შრიფტი უნდა იყოს ნათელი და არასტილიზებული; მსგავსი მოყვანილობის ასოები იოლად უნდა გამოირჩეოდნენ ერთმანეთისგან;
- ⇒ აქცენტებისთვის მიზანშეწონილია გამოიყენებოდეს ბოლდის ფუნქცია და სიტყვის ქვეშ ხაზგასმა; არარეკომენდებულია შრიფტის დახრა (Italic);
- ⇒ არამიზანშეწონილია ვერტიკალური ან დიაგონალზე მოცემული წარწერების გამოყენება;
- ⇒ უცხო ენის შემთხვევაში, არარეკომენდებულია, მთელი სიტყვის დიდი ასოებით წარდგენა;

- ⇒ გრაფიკების შემთხვევაში მიზანშეწონილია კონტრასტების გამოყენება და ვიზუალური ქაოსის შემცირება.
- ⇒ რეკომენდებულია ტექსტის სწორება განხორციელდეს მარცხნივ, მინ 2.5 სმ. „მინდვრის“ დატოვებით;
- ⇒ მიზანშეწონილია აბზაცების ერთმანეთისგან სივრცით გამოყოფა
- ⇒ ხაზებს შორის დაშორება სასურველია იყოს 1.25.

ადაპტაციები სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის

გავრცელებული ადაპტაციებია:

ვერბალური ნაწილისთვის წერილობითი ტრანსკრიპტის უზრუნველყოფა

სტუდენტის ზეპირი პასუხის (სალაპარაკო ნაწილის) ნაცვლად წერილობითი პასუხის დაშვება, თუ კონსტრუქტთან შესაბამისობა არ ირღვევა;

ხმოვანი შინაარსის გამოტოვება, მაგ. მუსიკის გამოტოვება, თუ კონსტრუქტთან შესაბამისობა არ ირღვევა;

დროის გახანგრძლივება

ზოგიერთ შემთხვევაში, ნებადართულია დროის გახანგრძლივება მასალის დამუშავებისთვის, კერძოდ კითხვისთვის. სტუდენტისთვის შესაძლებელია საჭირო იყოს დროის გაზრდა პასუხებისთვის, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის დაშვება დამოკიდებულია კონსტრუქტზე.

ჟესტურ ენაზე თარგმნა

თუ სტუდენტი საკომუნიკაციოდ ჟესტურ ენას იყენებს, მასწავლებლის ინსტრუქციები (მასალის წარდგენის პროცესი) ჟესტურ ენაზე უნდა ითარმნებოდეს. ანალოგიურად, ჟესტური ენის თარჯიმნის მიერ უნდა ხმოვანდებოდეს სტუდენტის პასუხები, შეკითხვები და კომენტარები. ჟესტური ენის თარჯიმანი ვალდებულია სრულყოფილად იცავდეს თარგმნის ეთიკას და წესებს, ასევე ზედმიწევნით იცნობდეს იმ სფეროს ენას (ტერმინებს), რა სფეროსაც ეხება მიმდინარე სასწავლო პროცესი.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ შეფასების პროცესში, კერძოდ ტესტირებისას, წერილობითი დავალებების/ინსტრუქციების ჟესტურ ენაზე სინქრონული და სპონტანური თარგმანი წახალისებული არ არის. ამ შემთხვევაში ჟესტურ ენაზე თარგმანი აღიქმება, როგორც ნებისმიერ უცხო ენაზე თარგმნის პროცესი. ტექსტური დავალებების უცხო ენაზე თარგმნა კი გულისხმობს სავალდებულო პროცედურების დაცვას კვლევაზე დაფუძნებული ტესტების თარგმნის გამოცდილების გათვალისწინებით - მაგ. ორმხრივ თარგმანს, ვალიდიზაციას და სხვ.

ადაპტაციები დასწავლის სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის

დასწავლის სირთულეები მქონე სტუდენტთათვის (რომლებსად დამატებით არ აღენიშნებათ სენსორული ან მოტორული დარღვევები) ფართედ გავრცელებული აკომოდაციებია: აუდიო ჩანაწერი, ხმამაღალი კითხვა სხვა პირის მიერ, დროის გაზრდა დამატებითი შესვენებები, დამხმარე ტექნოლოგიები.

აუდიო ჩანაწერის მომზადება

ტექსტის აუდიოჩანაწერი უნდა იყოს ნათლად არტიკულირებული და ბუნებრივი ტემპის. (ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი აუდიო-სტიმული საგანგებოდ ავთენტური ჩანაწერის სახით არის ხოლმე მოცემული.) აუდიო ჩანაწერი თავსებადი უნდა იყო კონსტრუქტთან.

აუდიო მასალა იმგვარად უნდა მომზადდეს, რომ შესაძლებელი იყოს ტექსტში ნავიგაცია.

დროის გაზრდა

აუდიო ჩანაწერების მომზადებისას ჩანაწერები შესაძლებელია საჭიროებდნენ ჩაწერას შესვენებებით, იმეორებდნენ ტექსტის მონაკვეთებს ან ჩანაწერებს შორის ტოვებდნენ დროს სტუდენტისთვის საპასუხოდ. კონსტრუქტიდან გამომდინარე, მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, დროის გახანგრძლივება რა ფორმით არის დასაშვები. ასევე მასწავლებელმა მართებულად უნდა განსაზღვროს, რამდენად უმატებს სტუდენტს დროს და დამატებითი დრო განკუთვნილია ტექსტის მოსმენისთვის, თუ - პასუხისთვის.

ცოცხალი კითხვა და სხვა აკომოდაციები

ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ცვლილება კონსტრუქტთან წინააღმდეგობაში არ მოდის, საგამოცდოდ ტექსტს სტუდენტს უკითხავს მკითხველი. ამ შემთხვევაში, დასაშვებია მკითხველმა მასალა იკითხოს წინასწარი სცენარის გარეშე. მხედველობის დარღვევის მქონე პირისგან განსხვავებით, დასწავლის სირთულის მქონე პირს არ სჭირდება ვიზუალური გამოსახულებების აღწერა.

დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება

დამხმარე ტექნოლოგიების - მაგ კალკულატორის, spell-checker-ის, გამოყენება დამოკიდებულია კონსტრუქტზე, თუმცა ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელი შეიძლება იყოს დასწავლის სირთულეების მქონე პირებთან.

მაგ. თუ ამოცანაა, შეფასდეს სტუდენტის ცოდნა საკითხთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაში მართლწერა, არა არსებითი კომპონენტია, სტუდენტს შესაძლებელია კომპიუტერით ნაწერის შესრულებისას არ შევუზღუდოთ spell-checker ფუნქციით სარგებლობის უფლება.

ანალოგიურად, თუ მასწავლებლებლისთვის, მნიშვნელოვანია მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას შეაფასოს სტუდენტის ლოგიკური მსჯელობა და მოქმედებების თანმიმდევრობა, არითმეტიკული ოპერაციების შესრულებისთვის სტუდენტმა შესაძლებელია კალკულატორი გამოიყენოს. (რამდენადაც, ეს უკანასკნელი საკვანძო კომპონენტს არ წარმოადგენს).

ადაპტაციები ფიზიკური დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის

სასწავლო გარემოში და საგანმანათლებლო პროცესში ფიზიკური დარღვევის მქონე სტუდენტთა უსაფრთხო და სრულყოფილი ჩართულობისთვის (მაგ. უსაფრთხო გადაადგილებისთვის, წვდომის უზრუნველყოფისთვის) უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მოქმედი გარემოს მისაწვდომობის სტანდარტის გათვალისწინება[3] და/ან ფიზიკური გარემოს უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფა.

ამავდროულად, ფიზიკური დარღვევის მქონე სტუდენტებს სასწავლო პროცესის მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის დამატებით გასათვალისწინებელია ის საჭიროებები რომლებიც სტუდენტს აღენიშნება. ფიზიკური დარღვევები შესაძლებელია ვლინდებოდეს გადაადგილების სირთულეების, ზედა კიდურების ფუნქციური გამოყენების, პოზის კონტროლის, წონასწორობის დაცვის, კოორდინაციის, გამძლეობის სირთულეების და სხვ. სახით. შესაბამისად, პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესია:

გარემოს მოწყობა

- სასწავლო/სამუშაო სივრცის და გარემოს იმგვარი მოწყობა, რომ სტუდენტმა შეძლოს წვდომა ყველა იმ საგანთან და ნივთთან, რაც მას სასწავლო პროცესში დასჭირდება (საგნები უნდა განთავსდეს მისი მისაწვდომობის არეალში);
- სასწავლო/სამუშაო სივრცის ბარიერებისგან განთავისუფლება (მაგ. იატაკზე გაფენილი ნივთების ალაგება, საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს გაშლილი დამაგრძელებელი, ხალიჩა);
- სასწავლო/სამუშაო ოთახში ავეჯის იმგვარი განთავსება, რომ სტუდენტისთვის, გადაადგილების დამხმარე საშუალებით ან მის გარეშე, იოლი იყოს არსებულ გარემოში მანევრირება, მოძრაობა.

სასწავლო მასალის ადაპტირება და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება

- სტუდენტის იმ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, რაც გაუადვილებს მას საქმიანობების შესრულებას (მაგ. ხელსაწყოების ადაპტირება ხელის ფუნქციის გათვალისწინებით; აუდიო ჩამწერის უზრუნველყოფა ლექციის დოკუმენტირებისთვის კონსპექტის წარმოების სანაცვლოდ);
- სტუდენტისთვის ავეჯის ადაპტირება და მისი განთავსების ცვლილება (მაგ. სამუშაო მაგიდის, დაზგის სიმაღლის ცვლილება, მათი განთავსება სტუდენტისთვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილას).

სასწავლო აქტივობების ფორმის ცვლილება

- სტუდენტის ხელის ფუნქციის და სხვა მოტორული შესაძლებლობების გათვალისწინებით აქტივობის შესრულების ფორმის ჩანაცვლება (თუ ცვლილება კონსტრუქტთან

[3] დღეს საქართველოში მოქმედებს საქართველოს მთავრობის 732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე.

წინააღმდეგობაში არ მოდის) - მაგ. აუდიო ჩანაწერების წარმოება წერითი აქტივობების ნაცვლად; ზეპირი პასუხების უზრუნველყოფა წერითი აქტივობის ნაცვლად, ბეჭდვა ხელით წერით ნაცვლად)

სასწავლო/სამუშაო აქტივობებისთვის განსაზღვრული დროის ცვლილება

- სტუდენტისთვის სამუშაოს შესასრულებლად დროის გახანგრძლივება მოძრაობის ტემპის, ხელის ფუნქციის გათვალისწინებით
- სამუშაოს შესრულების პროცესში შესვენებების გამოყენება სტუდენტის მოტორული გამძლეობის გათვალისწინებით

სასწავლო/სამუშაო პროცესში ასისტენტის უზრუნველყოფა

- სტუდენტის მხარდაჭერა მოქმედებების შესრულებაში და მათი სტუდენტის კარნახით შესრულება (მაგ. თუ სტუდენტს ხელის ფუნქციის გათვალისწინებით თავად არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება, საკონტროლო დავალებების ამოხსნისას, ის შესაძლებელია ასისტენტს კარნახობდეს ამოცანის ამოსახსნელად ოპერაციების თანმიმდევრობას ან სწორ პასუხებს, ასევე - მოქმედებების თანმიმდევრობას კონსტრუქციის აგებისას; ამ შემთხვევაში ასისტენტის ვალდებულებაა მისდევდეს სტუდენტის ინსტრუქციებს მათი კორექტირების გარეშე.)
- სტუდენტის დახმარება ამა თუ იმ დავალების უსაფრთხოდ და სრულად შესრულებაში, (მაგ. თუ სტუდენტს მოტორული ფუნქციის გათვალისწინებით მხოლოდ 2 წუთი შეუძლია განმეორებითი მოძრაობების შესრულება, ამ დროის შემდეგ აქტივობის შესრულებაში შესაძლებელია ჩაერთოს ასისტენტი; ასე სტუდენტი შეძლებს აქტივობების ჯაჭვის შემდეგი ეტაპზე გადასვას - მომდევნო აქტივობის შესრულებას და საბოლოო პროდუქტის შექმნა). იმისათვის, რომ მოცემულ სასწავლო საქმიანობაში ასისტენტის ინტერვენცია აკომოდაციად შეფასდეს, მნიშვნელოვანია კონსტრუქტის გაანალიზება.

წერითი ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის ზოგადი რეკომენდაციები

ნებისმიერი შინაარსის წერილობითი ინფორმაციის ფორმირებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებულია მარტივად საკითხავი და იოლად გასაგები ინფორმაციის ფორმირების ევროპულ სტანდარდს (European standards for making information easy to read and understand):

პარაგრაფის ფორმირება

⇒ არსებითი და ძირითადი ინფორმაცია უნდა იყოს ცხადად და მკაფიოდ მოცემული;

⇒ დაცული უნდა იყოს ბალანსი მცირე მოცულობასა და საჭირო ინფორმაციას შორის;

⇒ განსხვავებული საინფორმაციო ელემენტები უნდა გამოირჩეოდნენ ერთმანეთისგან - მაგ. სათაური ძირითადი ტექსტისგან;

⇒ არსებითი ინფორმაცია და მეორეხარისხოვანი ინფორმაციისგან უნდა გამოირჩეოდეს - გაამუქეთ ან კონტრასტული ფერით გამოყავით არსებითი სიტყვები, ელემენტები.



სურ. 6 მარტივი წინადადების მაგალითი

სიტყვების შერჩევა

- ⇒ გამოიყენეთ მარტივი, ნაცნობი ტერმინები, მოერიდეთ უცხო და რთულ სიტყვებს, ან განმარტეთ ისინი გამოყენებისთანავე;
- ⇒ დოკუმენტში საჭირო და არსებითი უცხო ტერმინები გამოიყენეთ განმეორებით
- ⇒ მოერიდეთ მეტაფორების გამოყენებას - მაგ. "ხელებიც დამიბანია";
- ⇒ არ გამოიყენოთ აბრევიატურები, ან განმარტეთ ისინი გამოყენებისთანავე;
- ⇒ თუ შესაძლებელია, აირიდეთ პროცენტების (63%); რთული რიცხვების (1,758,625) გამოყენება, სანაცვლოდ გამოიყენოთ ტერმინები - „მცირე", „უმეტესი", „უმრავლესი";
- ⇒ არ გამოიყენოთ რთული სიმბოლოები - \, &, %, #, =.

წინადადებების ფორმულირება

- ⇒ გამოიყენეთ მოკლე წინადადებები;
- ⇒ გამოიყენეთ პოზიტიურად ფორმულირებული წინადადებები, ნაცვლად ნეგატიურისა. მაგ. „სასურველია დარჩეთ შეხვედრის ბოლომდე" ნაცვლად - „ვერ დატოვებთ შეხვედრას მის დასრულებამდე";
- ⇒ გამოიყენეთ მოქმედებითი გვარი, ნაცვლად ვნებითი გვარისა. მაგ. „ექიმი გამოგიგზავნით წერილს"; ნაცვლად „თქვენ გამოგეგზავნებათ წერილი";
- ⇒ არ გამოიყენოთ „სქოლიო";
- ⇒ გამოიყენეთ მარტივი წინადადებები, და მოერიდეთ ჭარბ სასვენ ნიშნებს;
- ⇒ შეეცადეთ, ერთი წინადადება მოთავსდეს ერთ ხაზზე, ახალი წინადადება დაიწყეთ ახალი ხაზიდან;
- ⇒ არ გაყოთ სიტყვა გადატანისას;
- ⇒ ერთ წინადადებაში, გამოხატეთ ერთი იდეა, შესაბამისად, მოერიდეთ გამოიყენოთ „მძიმე" და „და" კავშირი;

⇒ წინადადება გაყავით, იქ, სადაც ბუნებრივად შეჩერდებოდით მისი ხმამაღლა წარმოთქმისას.

ტექსტის ფორმირება

ტექსტში პარაგრაფებს შესაძლებელია ჰქონდეთ რთული მახასიათებლები (ინტენსიური დიალოგი, არაბუნებრივად გრძელი პარაგრაფი ან ჩამონათვალი; სიტყვები, რომლებიც რთულად წარმოითქმის, სქოლიო). აღნიშნული მახასიათებლები ართულებს ტექსტის ამოკითხვას ან სმენით აღქმას მისი აუდიო ფორმატში მიწოდებისას.

თუ მსგავსი მახასიათებლების მქონე აბზაცი კონსტრუქტის არაარსებითი კომპონენტია, სცადეთ მისი მოდიფიკაცია ან ჩანაცვლება.

რეკომენდაციები ტექსტის ფორმირებისთვის:

⇒ გაითვალისწინეთ, ვინ არის ინფორმაციის მიმღები;
⇒ ინფორმაცია დაალაგეთ ისე, რომ ის ადვილად აღქმადი იყოს;
⇒ ერთი ტიპის ინფორმაცია დააჯგუფეთ;
⇒ არ ასახოთ, საჭიროზე მეტი ინფორმაცია, მოერიდეთ ზედმეტ დეტალებს;
⇒ გაიმეორეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ეს დასაშვებია;
⇒ გაამკვეთრეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
⇒ დასაშვებია, რთული სიტყვების რამდენჯერმე განმარტება;
⇒ სათაურებად გამოიყენეთ ნათელი და კომპაქტური წარწერები;
⇒ სათაურში ნათლად ასახეთ, რას შეეხება მომდევნო აბზაცი;
⇒ არ გამოიყენოთ ზედმეტი ქვეთავები და ბულეტები;
⇒ უზრუნველყავით, რომ ყველა საჭირო ინფორმაცია იძებნებოდეს იოლად და იყოს თვალშისაცემი: მაგ. დაიწყეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციით;
⇒ მოათავსეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ცხრილში;
⇒ ცხრილების და გრაფიკების გამოყენებისას, მაქსიმალურად გაამარტივეთ ისინი და კარგად განმარტეთ;
⇒ გამოიყენეთ ფონი, რომელიც არ გაართულებს ნაწერის აღქმას, არ გამოიყენოთ გადატვირთული ფონი;
⇒ წერილობითი დოკუმენტი არ იყოს გრძელი. მაგ. 100 გვერდიანი წიგნი „დააფრთხობს“ მკითხველს, სჯობს, სამი 30 გვერდიანი ბუკლეტის დაბეჭდვა.

ტექსტის ვიზუალური მხარე

⇒ გამოიყენეთ მარტივი ფონტი და შრიფტი; ინგლისურ ენაზე წერისას რეკომენდებულია: ENG - Ariel; Tahoma; არარეკომენდებულია: ENG - Times New Roman;
⇒ არ გამოიყენოთ მკრთალი ნაწერი;
⇒ არ გამოიყენოთ დახრილი შრიფტი - *Italic;*
⇒ არ გამოიყენოთ სტილიზებული შრიფტი;
⇒ გამოიყენეთ 14 შრიფტი;
⇒ მოერიდეთ ხაზგასმებს;

- ⇒ არ ცვალოთ შრიფტი ტექსტში;
- ⇒ ინგლისური ენის შემთხვევაში, არარეკომენდებულია ინსტრუქციის სრული ტექსტის დიდი ასოებით (capital letters) წარდგენა;
- ⇒ შესაძლებელია, არაეფექტური იყოს ფერების გამოყენებაც - ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანებს შესაძლებელია გაუჭირდეთ აღქმა, რატომ მოხდა ფერების დიფერენცირება;
- ⇒ ჩამონათვალი გააკეთეთ ბულეტებით; ჩამონათვალის ერთი წინადადებად მოცემა, და მძიმით გამოყოფა არარეკომენდებულია;
- ⇒ მოერიდეთ ნაწერის სვეტებად გაყოფას;
- ⇒ თარიღები წერეთ ვრცლად: მაგ. 2019 წლის 12 დეკემბერს, სამშაბათ დღეს; ნაცვლად: 13/12/2019 ან დეკემბრის 12. 2020;
- ⇒ ნაწერის სწორება გააკეთეთ მარცხნივ; მოერიდეთ ორმხრივ სწორებას. ეს ზრდის სიტყვებს შორის დისტანციას და ართულებს კითხვას;
- ⇒ ერთ გვერდზე არ დაწეროთ ბევრი ტექსტი;
- ⇒ დატოვეთ სივრცე აბზაცებს შორის;
- ⇒ არ შეწიოთ აბზაცი - ანუ, აბზაცის პირველი ხაზი, უნდა იწყებოდეს იქ, სადაც მომდევნო ხაზები;
- ⇒ გვერდები დანომრეთ: მაგ. 2/4 დან, იმისათვის, რომ მკითხველმა იცოდეს რამდენ გვერდიანია დოკუმენტი.

გამოსახულებების შერჩევა

გამოსახულებები რთულად აღქმადი შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ისინი შეიცავენ კომპლექსურ ვიზუალურ დეტალებს, ჩრდილებს, ელფერებს, მცირე დეტალებს, წარწერებს, რომლებიც მოცემულია დახრილი ასოებით (*Italic*), ვერტიკალურად ან დახრილად, ხელნაწერით ან სტილიზებული შრიფტით.

- ⇒ გამოიყენეთ გამოსახულებები, რომელიც განმარტავს ან ავსებს ტექსტს
- ⇒ გამოსახულებები შეუწყვილეთ ტექსტებს
- ⇒ გამოსახულებები შეარჩიეთ მკითხველის შესაძლებლობის გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რამდენად შეძლებს მკითხველი სიმბოლოებად მოცემული შინაარსის წვდომას, ხომ არ იქნება უფრო ინფორმატიული ნახატის ან ფოტოს გამოყენება
- ⇒ გამოსახულებების მრავალჯერადად გამოყენებისას, შესაძლებლობის ფარგლებში მიმართეთ ერთი ფორმატის გამოსახულებებს (მაგ. გამოიყენეთ მხოლოდ ფოტოები)

ფოტო **ნახატი** **სიმბოლო**

⇒ გამოიყენეთ რელევანტური გამოსახულებები. მაგ. თუ ტექსტი განკუთვნილია ზრდასრულებისთვის, არ გამოიყენოთ საბავშვო ნახატები

⇒ გამოიყენეთ ნათელი გამოსახულებები, იოლად აღსაქმელი და შეწყვილებული იმ ინფორმაციასთან რომელსაც ის განმარტავს.

ნათელი ფოტო **ბუნდოვანი ფოტო**

⇒ გამოსახულებები არ უნდა იყოს გადატვირთული

⇒ ერთი და იგივე ინფორმაციის ირგვლივ, გამოიყენეთ ერთი-და იგივე გამოსახულებები

⇒ ერთი აბზაცის განმარტებისთვის, შესაძლებელია 1-2 გამოსახულების გამოყენება

⇒ გამოიყენეთ ის გამოსახულებები, რომელთა ნათლად და ერთმნიშვნელოვნად აღწერას შესაძლებელი (ტრანსკრიპტის მომზადების საჭიროებისას)

⇒ მულტიგანზომილებიანი გრაფები (თუ კონსტრუქტთან შესაბამისობა არ დაირღვევა), შესაძლებელია გადაყვანილი იყოს ცხრილად, ან დაიშალოს რამდენიმე დიაგრამად, რომებიც ცალ-ცალკე ასახავენ სამიზნე ცვლადებს

⇒ ასევე ხშირად, არამომგაბიანია სამგანზომილებიანი ნახაზების ან ნახატების გამოყენება, სანაცვლოდ მიზანშეწონილია სამგანზომილებიანი მოდელების შეთავაზება.

გამოყენებული ლიტერატურა

- How ETS Works to prove Test Accessibility; 2010 by Educational Testing Service
- Information for all - European standards for making information easy to read and understand; ISBN 2-87460-110-1 Published by Inclusion Europe with the support of the European Commission
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასთან დაკავშირებული პროცედურები; მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი; 2020 წ.
- ინკლუზიური განათლების გზამკვლევი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, შ. ტყეშელაშვილი, ლ.ქურციკიძე; 2021 წ.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - გზამკვლები მასწავლებლებისთვის; ქ. ფილაური, ჟ. კვაჭაძე, მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი; 2012 წ.